საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-624

08/07/2019

ქ. თბილისი

შპს „გაზპროექტი 2009“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ზე გადაცემის შესახებ

2019 წლის 14 ივნისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „გაზპროექტი 2009“-ისა და შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ის დირექტორებმა. შპს „გაზპროექტი 2009“-მ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ზე და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წლის 11 აპრილს „შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შპს „გაზპროექტი 2009“-ის შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ სიგრძის, P=6კგ/სმ^2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე გაიცა №2-318 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „გაზპროექტი 2009“-ის შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შუახევი-ხულოს (ხიჭაურის დასახლებიდან გოდერძის უღელტეხილამდე) 54 კმ სიგრძის, P=6კგ/სმ^2 გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ს;

2. შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-მ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 აპრილის №2-318 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გაზპროექტი 2009“-სა და შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გაზპროექტი 2009“-ისა და შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი